№ 24
ხუთშაბათი, 13 თებერვალი 1897 წ.

ფასი ნომრის ცალკე:

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 – 1897

# ივერია

№ 24
ხუთშაბათი, 13 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

## „ივერია“
### გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.
ტფილისის გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверіа“.
ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სამი ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ-შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

### მთავრობის განკარგულებანი.

—

წელთა სამსახურისა შესრულებისა გამო ებოძათ: ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ტიტულიარნი სოვეტნიკს მგელაძეს—კოლეჟსკი ასესსორობა.

სამტრედიის საფოსტო განყოფილების უფროსს კოლეჟსკი სეკრეტარს ქორქაშვილს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

ხონის მეოთხე ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელეს გუბერნსკი სეკრეტარს იოსელიანს—კოლეჟსკი სეკრეტრობა.

თიანეთის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების მოხელეს გუბერნსკი სეკრეტარს კეზელს—კოლეჟსკი სეკრეტრობა.

ახალ-სენაკის საფოსტო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გვინჩიძეს—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

—◆◆—

## ახალი ამბავი

—

*** გაზ. „ცნ. ფურც.“-ს შეუტყვია, რომ სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის რამდენსამე წევრთ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არქიელის ვლადიმირის განკარგულებით შეუდგენიათ პროგრამა იმათთვის, რომელთაც არ დაუსრულებიათ სწავლა სასულიერო სასწავლებელში ანუ სემინარიაში და სურთ-კი მიიღონ ადგილი ან მღვდლისა და ან მთავარ-დიაკვნისა. ეს პროგრამა წარედგინება ამ მოკლე ხანში უწმიდესს სინოდს განსახილველად იმ განზრახვით, რომ უკეთუ იგი უმაღლესის მთავრობისაგან იქმნება მოწონებულ-დამტკიცებული, გაეგზავნოთ ყველა ეპარქიის ეპისკოპოსთ სახელმძღვანელოდაო.

*** ტფილისის გუბერნატორმა შემდეგი ბრძანება გამოსცა ყველა მაზრის უფროსების მიმართ, იმ განაჩენის თანხმად, რომელიც გარდასახადის ინსპექტორთა პირველმა კრებამ შეიმუშავა შარშან:

ა) როგორც საწვრილმანო, აგრეთვე გილდით ვაჭრობის დოკუმენტების გამოტანა მხოლოდ იმ მოვაჭრეთ შეეძლოთ, რომელნიც მამასახლისის მოწმობას წარმოადგენენ, რომ ნება ეძლევა ვაჭრობისა.

ბ) პირველი რევიზია სოფლის დუქნებისა არ უნდა მოხდეს პირველ მაისის უგვიანეს;

გ) თუ ვაჭარი დადგენილს წესსა და რიგს დაარღვევს, ამის შესახებ ოქმი უნდა გაეგზავნოს გარდასახადთა ინსპექტორს და არა სახაზინო პალატას, როგორც წინად იყო.

დ) გარდასახადთა ინსპექტორს გაეგზავნოს სია სოფლის დუქნებისა წელიწადში ორჯელ: 1 მაისს და 1 ოქტომბერს.

ე) სოფლის მამასახლისი მოვალეა ასწეროს სამამასახლისოში მამულების რაოდენობა, მისი შემოსავალი და წარუდგინოს ესე ცნობანი გარდასახადთა ინსპექტორს.

ვ) მამასახლისი მოვალეა აღნიშნოს საბეგრო გარდასახადის ფურცელში დღე და რიცხვი, როცა ამ ფურცელს მიიღებს.

ზ) სოფლის ყრილობა ხარჯის გასანაწილებლად მამასახლისმა უნდა მოახდინოს არა უგვიანეს ერთის თვისა საბეგრო გარდასახადის ფურცლის მიღების შემდეგ. (ცნ. ფურც.)

*** მისმა ბრწყინვალებამ ტფილისის გუბერნატორმა, განიხილა-რა საბჭოს დადგენილება ქალაქში გაწმენდა-გასუფთავების შესახებ, რომელიც ხმოსანთა უკანასკნელ კრებაზედ იყო შემუშავებული, ამ დადგენილების მე-9 მუხლი, რომლითაც საბჭო შესაძლებელად ჰპოვებს მტკვარში ყოველისავე სიბინძურის ჩაყრას, არ დაამტკიცა. ამის გამო საბჭოს მეორედ მოუხდება ამ საგნის განხილვა.

*** ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საბჭო აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა საზოგადო მორიგი კრება დანიშნულია კვირას, 2 მარტისათვის, დილის ათს საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში. ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს: წლიური ანგარიში; საბჭოს მოხსენება სათადარიგო თანხის შედგენის შესახებ; 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, და შემდეგ უნდა ამოირჩიოს ორი დეპუტატი და ერთიც დირექტორი, ეხლანდელთა ნაცვლად, რომელნიც წილის ყრით ანებებენ თავს სამსახურს. რწმუნების ქაღალდი გამგეობას უნდა წარუდგინოს სამის დღით წინ მაინც საზოგადო კრებამდე.

*** გაზ. „ჩერნ. ვესტ.“ ქუთაისიდგან ატყობინებენ: „ქ. ბათუმს, რომელიც მთავრობასა სთხოვდა კლასიკური გიმნაზიის დაარსებას, პეტერბურგიდგან უარი მოუვიდა; ფინანსთა მინისტრს ის აზრი გამოუთქვამს, რომ იმისთანა სანავთსადგურო და სამრეწველო ქალაქში, როგორიც ბათუმია, გიმნაზიის დაარსება ყოვლად უსარგებლო იქმნებაო.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ბილეთები იმ კონცერტისათვის, რომელიც გაიმართება 20 თებერვალს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ, ისყიდება ამავე საზოგადოების კანცელარიაში, თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

*** გაზ. „ნოვ. ობ.“ სიტყვით, ტფილისის გუბერნიის სამმართველოში გარდაუციათ განსახილველად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღძრული საკითხი ქ. გორის საფინანსო მდგომარეობის შესახებ. ეს საგანი იმას გამოუწვევია, რომ ხსენებულს სამინისტროს განზრახვა აქვს თურმე ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ლიახვისა და ფშანის ნაპირების გასამაგრებლად და გორის დანგრეულის რკინის ხიდის განსაახლებლად არის გადადებული, ამ ქალაქს შეეწეროს გადასახადადაო.

*** როგორც გაზეთი „პეტ. ვედ“-ი ამბობს, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას 5000 მ.

## ფელეტონი

—

### მაგის რა ბრალია?!

მოთხრობა სვანების ცხოვრებიდგან

I

გადაშალეთ თქვენ წინ საქართველოს რუკა და თვალი ადევნეთ ორს მდინარეს: ინგურს, რომელიც ჩამოდის ზემო სვანეთში და პირდაპირ შავს ზღვას უერთდება, და ცხენის წყალს, რომელიც მდ. რიონს უერთდება და მასთან ერთად იმავე ზღვაში ჩადის. ჰყევით მეორე მდინარეს, გადალახეთ დაბა ცაგერი, გადაიარეთ ლელტეხის და ჩოლურის საზოგადოებანი, რომლებიც ცხენის წყლის ნაპირსავე მდებარეობენ, და მიადგებით ლატფარის მთას, რომელიც ჰყოფს სვანეთს ორს ნაწილად—ზემო და ქვემო სვანეთად, და რომელზედაც მიდის საზაფხულო გზა. ამ ქვეყნის წარსული იმდენადვე რომანტიულია, რამდენადაც მისი აწინდელი საიდუმლოა და განათლებისათვის მიუდგომელი. თუმცა გეოგრაფიაში ამ ქვეყნის შესახებ თქვენ არაფერი არა გსმენიათ-რა, მაგრამ გაგონებით მაინც გაგეგონებათ მისი სახელი. ეს გახლავთ სვანეთი და შიგ თქვენი უმცროსი ძმები სცხოვრებენ. აი, სწორედ ამ ქვეყნის წარსული ცხოვრებიდგან მსურს ვუამბო მკითხველს ორი ოდე სიტყვა.

—

თიბათვის ცხელი დღეები იდგა... ცა სარკესავით მოწმენდილიყო და კაშკაში გაჰქონდა: ღრუბლების ნატემალიც არ მოსჩანდა მისს სივრცეში, მხოლოდ ხანდახან მაღალის მთის წვეროზედ გამოჩნდებოდა ღრუბლის ნაჭერი და ისევ მალე გაჰქრებოდა, მიიმალებოდა იქ, სადღაც შორს, ზესკნელში. იქით-აქეთ სვანეთის უზარმაზარი მთები აწვდენილიყვნენ და ამაყად გადასცქეროდნენ მახლობელს სოფლებს და მთელს მიდამოს. დიდი ხანია, რაც ამ მთებს არ გადაეხადათ თავზედ ბნელი ზეწარი და ეხლა, დარწმუნებულნი თავიანთ სიმშვენიერეს, თითქოს მაცქერალთ ეუბნებოდნენ: „მოდით, დასტკბით ჩვენის სილამაზით სანამდის დრო გაქვთ, თორემ მალე ისევ ნისლითა და ბურუსით შევიმოსებით!..“

დიახ, მთებს მართლა გარდაეხადათ ბნელი ზეწარი და მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდნენ... პატარა დიდს შეჰხაროდა დიდი პატარას, გამდნარი თოვლის წყალი ჩხრიალ-ჩხრიალით მირბოდა ბარისაკენ, თან და თან დიდდებოდა და ბოლოს უერთდებოდა გამხეცებულს ინგურს, რომელიც ათასს ნანჩქერებს ისროდა ქვიდგან ქვაზედ, ჰქაფდებოდა, იკვრებოდა ბურთსავით, განიბნეოდა წვრილს ნამად და რწყავდა ნაზის ფერადით აჭრელებულს, ბალახიანს ველებს; თან გაჰქონდა მედიდური გრიალი, რომელიც ხან ამაღლდებოდა, ხან ისევ დამდაბლდებოდა, „და იქაურობას აღვიძებდა.

ლატფარის მთაც ამავე სანახაობას წარმოადგენდა. ის თავის სიმაღლიდგან სიამაყით გადმოსცქეროდა არე-მარეს და დილის მზის სხივების გვირგვინი შემოეკრიფა. აქა-იქ ვაკეებში, სადაც მზეს თავისი სხივები საკმარისად ვერ მიეწვდინა, ისევ დარჩენილიყო თოვლი და იქაურობას სულ სხვა ფერს აძლევდა. წმინდა ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებდა და რაღაც გამოუთქმელის სიტკბოებით უალერსებდა კაცის ყურს, მთის ჩიტებსაც გამოეღვიძათ და ჭიკჭიკით ქებას უძღვნიდნენ ბუნების ძალას.

მშვენიერი დღე იყო, ერთი იმისთანა დღეთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰყავს და სიამოვნებას აღუძრავს მთელს სხეულში. დილის ათი საათი იქნებოდა... სიჩუმე ჰმეფობდა, რომელსაც ხანდახან არღვევდა მდ. ინგურის გრიალი და ყორნის უშნო, სულის შემაწუხებელი ყვირილი.

სანატრელია ამ დროს ამ ადგილებში ყოფნა: იმისთანა ზედ გავლენა აქვთ კაცზედ, რომ იგი უნებლიედ ემორჩილება ბუნების ძალას და სიამოვნებას ეძლევა, ამ გვარად არამც თუ მარტო ადამიანსა, არამედ პირუტყვზედაც-კი ჰმოქმედებს. მართლაც, როგორ არ უნდა მიიზიდოს პირუტყვი მსუქანმა, ნოყიერმა მწვანე ბალახმა, შემკულმა ათას ფეროვანის ყვავილებითა და სურნელოვანებით? როგორ არ უნდა მოჰხიბლოს ამ გვარმა ადგილებმა მისი გული?.. აგერ უეცრად ერთს ფრიალო კლდის წვეროზედ გამოჩნდა ხარ-ღალი (მამალი ჯიხვი), რომელიც ისე გადმოიზნიქა კლდეზედ, რომ კაცი იფიქრებდა, გადმოვარდნას აპირებსო, მაგრამ ის ერთბაშად გაქვავებული დარჩა და ამაყად დაიწყო აქეთ-იქით ცქერა. რა თავისუფლებასა ჰგრძნობდა ამ დროს პატიოსანი პირუტყვი?!. ამ დროს მისი გული, ნეტარებისა, პატიოსნებისა, უმანკოებისა,

გადაუდვია ამავე საზოგადოების ეკკლესიებთან პაწია სამკითხველოების დასაარსებლად. ამ სამკითხველოებში თურმე იქნება სარწმუნოებრივისა და ზნეობრივის შინაარსის წიგნები ქართულსა და რუსულს ენაზედ.

*** როგორც იმავე გაზეთს გაუგონია, ძმ. ნობელების ნავთის მწარმოებელ ამხანაგობას ვადა გასვლია ოდესის ბაზარზედ ნავთის გასყიდვის მონოპოლიისა. ბათუმის ნავთის მწარმოებელ ვარშავსკისთანაც, რომელსაც იჯარითა აქვს აღებული „მანთაშევის ბაქო-ბათუმის ნავთის სადგურები და გემები“, მოლაპარაკებას ამაოდ ჩაუვლია. ეს გარემოება, დასძენს გაზეთი, ერთობ სასარგებლოა სამხრეთ რუსეთისათვის, რადგანაც ოდესის ბაზრის ნობელის მონოპოლიიდგან განთავისუფლებას უეჭველად ნავთის გაიაფება მოჰყვება.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ გუშინ, ოთხშაბათს, 12 თებერვალს, განიხილა საქმე ნაფიცის ვექილის თანაშემწის გ. გვაზავასი, რომელიც გაზეთ „კავკაზ“-ის რედაქტორად ყოფილს ი. მ. მილიუტინსა და მისს თანამშრომელს ი. ლ. ბახტაძეს უჩიოდა გაზეთით შეურაცხება მომაყენესო. ოლქის სასამართლომ ბ-ნნი მილიუტინი და ბახტაძე გაამართლა.

*** კომისსიას, რომელიც შემდგარი იყო კავკასიისა, ყირიმისა, ბესარაბიისა და რუსეთის სხვა ადგილების ვაზის ღვინის ვაჭრობის განსაკარგებლად, დაუდგენია: ა) ნამდვილ ღვინოდ ჩაითვლება მხოლოდ წმინდა ღვინო, რომელსაც არა ნივთიერება არ ურევია, ანუ ნარევი აქვს მხოლოდ სპირტი და შაქარი (საუკეთესო ღირსებისა) იმდენი, რამდენიც არის სპირტი ამ ადგილის ღვინოში ორთაშუა რიცხვის კვალობაზედ; მხოლოდ ასეთს ღვინოს ეწოდება ნამდვილი მოწონებული ღვინო.

ბ) ჭაჭიდგან გამოხდილი ღვინო, რომელსაც ჭარხლის შაქარს უმატებენ, ნამდვილ ღვინოდ არ ჩაითვლება.

გ) დასასრულ ყოველი ღვინო, რომელსაც ურევია გლიცერინი, სახარინი, გაუწმენდელი სპირტი, სალიცილის სიმჟავე, შავი მოცხარი, წყალი, ბადაგი, კირი, თევზის წებო, კვერცხის ნაჭუჭი, ძმარი და სხ. და სხ. ყალბად უნდა ჩაითვალოს. ღვინის ღირსების დასაფასებლად დეპარტამენტს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში სამაგალითო ლაბარატორია დააარსოს, სადაც ღვინის ავ-კარგიანობას გამოსცდიან. ვაზის ღვინოებს, რომელსაც ზემოხსენებული ნივთიერებანი ექნება გარეული, ხელოვნურად გაკეთებული დაერქმევა. ხარჯი, რომელიც ლაბარატორიისა და ამ ლაბარატორიის მოსამსახურეთა შენახვას მოუნდება, გარდასახადად შეეწერება, როგორც ნამდვილს, აგრეთვე ხელოვნურად ნაკეთებს ღვინოებს. შემდეგ, საბაჟოთა დამოუკიდებლად, განზრახვა აქვთ გასინჯონ აგრეთვე უცხოეთიდგან შემოტანილი ღვინოებიც და ბაჟი დაადონ, რომ სამშობლო ღვინის წარმოება არ დაეცეს. რუსეთში ადგილობრივი ღვინო 20—30 მილიონ ვედრამდე იყიდება; თითო ვედროზედ რომ 75 კაპ. იქმნას შემოღებული გარდასახადი, ამითაც-კი 15 მილიონ მანეთამდე შესდგება. ეს ფული ლაბარატორიისა და იმის მოსამსახურეთა შესანახს ხარჯსაც გაუძლებს და კიდევ დარჩება, რომელიც რუსეთის მევენახეობის გაუმჯობესებას მოხმარდებაო.

*** სოფ. ფხვენისი, (გორის მაზრა): ამ სოფლიდგან გაზ. „კავკაზს“ სწერენ, რომ იქ ერთი საშინელი ამბავი მომხდარა. გლეხი მაისურაძე საოფლეთი გახდა ავად. ავადმყოფის ცოლი ისე დაჯავრიანდა ქმრის ავადმყოფობის გამო, რომ ლიახვში დაირჩო თავი. ამას შემდეგ მისი ავადმყოფი ქმარიც ჩქარა გარდაიცვალაო.

*** ჩოხატაური: მკვიდრთა საერთო აღწერის წინადღით ერთი შემაძრწუნებელი ამბის მოწმე ვიყავი, რომელსაც აქვე მოგახსენებთ: სოფლად დადიოდნენ ვიღაცაები, რომელნიც თავისს თავს „მკვიდრთა აღმრიცხველს“ უწოდებდნენ და თვითო კომლზედ 40—50 კაპ. ახდევინებდნენ ვითომდა სახელმწიფო ფულს. როგორც ვიცით, აღწერის დროს არავითარი ფული არ იყო შესაკრებელი. მაშ რა გარდასახადი იყო, რომელიც ჩოხატაურელებს გარდაახდევინეს? იმედი გვაქვს, ამას ადმინისტრაცია ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და ეს მატყუარა ვაჟბატონები ღირსეულად იქნებიან დასჯილნი“. („ჩერნ. ვესტ.“).

*** დ. ჩოხატაური: ჩოხატაურის გზატკეცილი ძლიერ წამხდარი და დაზიანებულია, როგორც ბოგირები, აგრეთვე გზა მოუკირწყლავია და ალაგ-ალაგ ნახევარ არშინზედ მეტი ტალახი დგას. ეტლებით მოგზაურობა შეუძლებელია, ასე რომ მგზავრმა ერთი ვერსი ფეხით უნდა გაიაროს.

აგერ 12—13 დღე იქნება, რაც თოვლი გვესტუმრა და ძლიერ ცუდი ამინდებიც დაიჭირა. სანამ-კი გაზაფხულის საამო დღეები იდგა.

ჩვენსკენ ძალიან გავრცელებულია ყვავილი და სხვა გადამდები ავადმყოფობანი, მაგრამ ხალხის დამხმარებელი და მოჭირისუფლე-კი არავინა სჩანს.

*** სოფ. წრომი (გორის მაზრა). ერთს გლეხს შუაღამისას, როცა მთელს სოფელს ეძინა, მიუხტა თერთმეტი შეიარაღებული ყელეთელი კაცი, შეაჩეხ-შეამტვრია კარ-ფანჯარა და ახალგაზდა გასათხოვარი ქალი მოიტაცა. შეიქმნა ყვირილ-ტირილი, მაგრამ ვიდრე მიეშველებოდა ვინმე, ქალი და მომტაცებელნი გაუჩქარდნენ. საწყალი ქალი ფეხ-შიშველი და თავ-შიშველი, პერანგის ამარა, პირ-აკრული ატარეს თურმე ღროჩოღროებში, კლდეებზე, თოვლზე, ბუჩქებში და სულ ტანი დაუკაწრ-დაუსისხლიანეს. გათენებისას მდევარმა მიაგნო სოფ. ყელეთის ერთს მოსახლესთან—ხიზანთან, მაგრამ გვიან-ღა იყო: საბრალო ქალი დატანჯულ-გაუპატიურებული ჰნახეს. მოძალადემ ქორწინება ინდომა, მაგრამ ქალმა ზიზღით უარ-ჰყო და შინ წაყვანა მოისურვა. ჩამოიყვანეს საწყალი უგრძნობ-უგონოდ და მას შემდეგ სულ ლოგინად არის ჩავარდნილი. („ცნ. ფურც.)

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ ამ ჟამად უკვე შემუშავებულია და წარდგენილია მთავრობის წინაშე მისდა დასამტკიცებლად პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ბათუმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჭაობების ამოშრობისა. ამ საქმეს დასჭირდება 329,853 მან. 82 კ.: რომლის ერთს ნაწილს სამხედრო უწყება ჰკისრულობს, მეორე ნაწილს—ქალაქი ბათუმი და მესამეს—კერძო მამულის პატრონნი.

*** ბორჩალოს მაზრის სოფ. ვორონცოვკაში დაარსებული სასწავლებელი უნდათ გადააკეთონ წველა-დღვების სასწავლებლად. ამ აზრით მიწად-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს ამ სასწავლებელს დაუთმოს 164 დესიატინა სძოვარი ადგილი.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ვისაც ჰსურს შეიძინოს ამერიკული ბამბის დარჩეული თესლი ამ 1897 წელს დასათესად, ამ თავითვე უნდა აცნობოს თავისი სურვილი აგრონომს ნ. პ. ტარატინოვს (ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა, სახლი № 9). იქავე იმავ ტარატინოვისაგან შეუძლიანთ უსასყიდლოდ მიიღონ წიგნაკი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაითესოს ამერიკული ბამბა და როგორი მოვლა უნდა ამ მცენარეს. ეს წიგნაკი შედგენილია ისე, რომ იგი გამოსადეგი იყოს წვრილმან მეურნეთათვისა და გამოცემულია რუსულსა, ქართულსა და თათრულს ენაზედ.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ისყიდება ახალი წიგნაკი, რომელშიაც აწერილია ახალი წესი, როგორ უნდა გაიგზავნოს ფული ფოსტით და ტელეგრაფით, წიგნაკი ღირს 5 კაპეიკი.

*** მანდილოსნები, რომელთაც კავკავში ამ წლის 4 იანვარს გაჰმართეს საღამო ადგილობრივის ქართულის სკოლის სასარგებლოდ, გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი ანგარიში: ბილეთების ფასი შემოვიდა 226 მან. 10 კ. ბუფეტიდგან 87 მან. 10 კ., პრემია მივიღეთ 18 მან 40. სულ შემოსავალი იყო 331 მან. 60 კ. ამ ფულებიდგან დაიხარჯა 46 მან. 31 კ. დანარჩენი ფული 285 მან. 29 კ. სრულად გადაეცა კავკავის ქართულის სკოლის გამგე კომიტეტს.

ამასთანავე ხსენებული საღამოს გამგენი სასიამოვნო მოვალეობადა სთვლიან მადლობა შესწირონ შ. ა. კობიევს, რომელმაც მუქთად დაუთმო ამ საღამოსთვის სამხედრო მუსიკის ხორო, თავადს რ. მაყაშვილს, რომელმაც შემოსწირა ოცი მანეთი, ს. ი. ყაზაროვს, რომელმაც უფასოდ დაჰბეჭდა ბილეთები და აგრეთვე ბ-ნთ სარაჯიშვილებს, უშქერიძეს, მარკოზოვს, ორკოდოვს, გუბნელოვს, ფიცხელაურს, ჩითაშვილს, კიკნაძეს, ელერდოვს და ოქროპირიძეს, რომელთაც შემოსწირეს ბუფეტს სხვა-და-სხვა სანოვაგე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ლიმანი** (ლაზისტანი, ბათუმის ოლქი), 3 თებერვალი. ვერაფერი ზამთარი გვიდგას, მეტის-მეტი მოუსვენარი და დაუდგრომელი: ხან თოვს, ხან წვიმს და ხან, თითქმის ცხელა. 28 იანვარმა, ღმერთმა უშველოს, კარგი დარით გაიარა, თორემ, შენი მტერი, დიდი ჭაპან-წყვეტა ექნებოდათ ხალხის აღმწერებს.

ლაზები ძალიან გულმაგრად დახვდნენ ამ აღწერას. სულ უბრალო მითქმა-მოთქმა რა არის—არსად არ ისმოდა. პირიქით, გაიძახოდნენ, იქნება ღმერთმა გვიშველოს და ამ აღწერით გამოირკვეს ჩვენი მიწა-წყლის და შთამომავლობის დაბურული საქმეო. ცოტა არ იყოს და სხვანაირი, არა სასარგებლო, მნიშვნელობა მისწერეს ამ აღწერას ემშილებმა, რომლებიც მუდამ მთაში სცხოვრობენ და აგრე რიგად არ არიან ცხოვრებაში გასულები. ეს უკანასკნელები ზაფხულში მუდამ არდაგანში მიდიან და საზამთროდ ისევ სახლში, ფუცხაში, ბრუნდებიან. რაც გაუგებარს ხალხს წარმოადგენენ: ლაპარაკი შერეული სომხური აქვთ, ნამდვილი სომეხი ვერ მიხვდება იმათს ენას. რაც შეეხება ტიპს, უფრო სომხურს ემსგავსებიან; მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებენ; ოსმალოს ეძახიან თავს. ცოლად განსაკუთრებით თავიანთსავე თემის ქალს ირთავენ. აქ მაერიალის საზოგადოებაში სცხოვრობს ესე ორმოცი კომლი.

ბევრი რამ გამოჩნდა ამ აღწერის დროს. ოსმალი, ლაზები თითქოს შეეჩვივნენ და დაემორჩილნენ ბედსა; აქაურობაში დაჰყარეს გული და აღარ აპირებენ გადასახლებას ოსმალეთში. გუშინ თუ ამათი გვარები ოსმან და მაჰმედ ოღლები იყო, ახლა გაიხსენეს ბევრმა მათგანმა თავიანთი წინაპრების გვარები და ისე ჩააწერინეს. აღმწერელს თან სიამოვნების და მწუხარების ღიმილი მიმოუქროდა პირზედ, როდესაც წინ უდგა ოთხასის წლის დაკარგული მოძმე, დაბერებული ლაზი და ამგვარად ესაუბრებოდა, სხვათა შორის:

თავისუფლებისა, სიყვარულისა და გულჩვილობის გარდა სხვას არარასა ჰგრძნობდა; მისს გულში არა ჰქონდა ადგილი არც ბოროტებას, არც მტარვალობას, არც უსამართლობასა და არც სხვა რაიმე ცუდს აზრსა!—ამაყად აეწვდინა მაღლა თავი და თითქო ღმერთს მადლობასა სწირავს თავისუფლების მონიჭებისათვისაო, ხან მაღლა ასწევდა თავს და ხან ძირს დაუშვებდა.

გავიდა რამდენიმე წამი და იმავე კლდის წვეროზედ გამოჩნდა ჯიხვის ჯოგი, რომელიც ისეთს მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა, რომ ადამიანს, რაც უნდა წყლული გული ჰქონოდა, დაამშვიდებდა. ჯოგი მოწინავე ჯიხვის თაოსნობით პატარა ხანს შეჩერდა, შეუშვირა შუბლი გამაგრილებელს ნიავს, მერე აქეთ-იქით გაიფანტა, ერთი კლდიდგან მეორეზედ გადახტა და ბალახს დაუწყო წიწკნა. ეს გადახტომა-გადმოხტომა ისე მარდად ხდებოდა, რომ კაცს გააკვირვებდა. პაწაწინა ჯიხვებიც დედებს ჰბაძავდნენ და თავისუფლად ნავარდობდნენ. აგერ, ერთს ადგილას პაწაწინა ჯიხვი შეჩერდა, რადგან მეორე ადგილას გადახტომა ველარ მოახერხა, და ცქმუტუნი შეჰქმნა. დედა მოუბრუნდა, წაუწოდა თავისი მოკაუჭებული მსხვილი რქები, პატარამ თავისის მხრით მოსდო რქები დედის რქებს; დედამ ასწია მაღლა თავი და ერთი თვალის დახამხამებაში თავისი საყვარელი შვილი მეორე ადგილს გადასვა. ისინი მხიარულებასა და ნეტარებაში იყვნენ. ბუნებაც მხიარულებდა და ხელს უწყობდა.

კაცი რომ შორიდგან ამ მთის ქედს კარგად დააკვირდეს, შეამჩნევს დაკლაკნილს ვიწრო გზას, რომლით სიარული, თუ არა შეჩვეულს სვანს, სხვას ძალიან გაუჭირდებოდა. აი, სწორეთ ამ გზაზედ იმდროს, როდესაც პატიოსანნი იპირუტყვნი ნეტარებაში იყვნენ, გამოჩნდა ორი აჩრდილი. ჯერ ისინი წერტილის მეტად არ მოჩანდნენ და კაცი მათ დედალ და მამალ ჯიხვებად მიიღებდა, რადგან სიმაღლით ერთი მეორეზედ მეტი იყო. მაგრამ არა, ისინი ცხოველებს არა ჰგვანან, ადამიანები იყვნენ. მგზავრნი მიუახლოვდნენ ერთს გორაკს, რომელსაც მოეფარნენ იგინი, მერე ისევ გამოჩნდნენ და თან და თან დაიწყეს მოახლოვება... ერთს ჩაღრმავებულს ადგილს რომ გაუსწორდნენ, მოწინავემ თავისათვის ჩაიბუტბუტა: „შენდბავ ჯარხ ღერ ბათ ხანქა“ (შეგინდოთ ღმერთმა)—და გაუდგა გზას. ეხლა ადვილად შეიძლებოდა გაგვერჩია ორი ადამიანი, რომელთა დაღვრემილი სახე კარგად გამოჩნდა. ერთი მათგანი უფრო მაღალი იყო და სუფთად ჩაცმული: შავი მატყლის მოკლე ჩოხა, ჭრელი ახალუხი, ნაბდის წვეტიანი ქუდი, მრგვალი ქალამნები, მხარზედ გადაგდებული კაჟის თოფი, ხანჯალი და სხვა იარაღი, მაღალი ზორბა ტანი, შავგრემანი სახე—ყველა ეს ამტკიცებდა, რომ ის იყო მახლობელი ნათესავი საქართველოს ტომისა. მეორე მგზავრის დედაკაცის სუსტი და ნელი სიარული ჰქონდა და უამისოდაც მისი ტანთსაცმელი ამჟღავნებდა მისს სქესს.

ორნივე მგზავრნი დაღონებულნი მიაბიჯებდნენ, ხმას არ იღებდნენ და სახეზედ მჭმუნვარება ეტყობოდათ. აშკარა იყო, რომ ორივეს რაღაც დარდი აწვათ გულზედ. როდესაც მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც მახლობლად ჯიხვის ჯოგი იყო გაფანტული, უცბად მოწინავე ჯიხვმა ასწია თავი მაღლა, ამაყად გადაიხედა იმ მხრისაკენ, საიდგანაც მგზავრები მოდიოდნენ, მერე რაღაც უცნაური ხმაურობა ამოუშვა, გაიქნია თავი, მრისხანე სახე მიიღო, თითქო ემუქრება თავისის ნეტარების წამის დამრღვევსაო, და აუდგა აღმართს; მას გაედევნა მთელი ჯოგი და რამდენისამე წუთის შემდეგ მიიმალა. მგზავრებმა ძალაუნებურად მოჰკრეს თვალი ჯოგს, მაგრამ ორნივე ისე შეეპყრო რაღაც ფიქრებს, ორნივე ისე დაღონებულნი მიდიოდნენ, რომ არც ერთმა არ მიაქცია ყურადღება. სვანი ძნელად თუ გაუშვებს ხელიდგან ამისთანა შემთხვევას, რომ არ ისარგებლოს და ერთი „ნათხვიარე“*) მაინც არ გადმოაგდოს, მაგრამ ამისათვის არა სცალოდათ ჩვენს მგზავრებს: იმათ სულ სხვა ფიქრი აწუხებდათ. რა იყო მიზეზი მგზავრების მჭმუნვარებისა? რას შეეპყრო ორივეს გული?

(შემდეგი იქნება)

*) ნანადირევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი გვარი, ბატონო, წინად ნარაკია იყო, ეხლა აბდურახმან-ოღლის გვეძახიან; გთხოვთ ნუ დამიკარგავთ ჩემის წინაპრების გვარს და ისე ჩამწერეთ". ბევრნაირი გვარები აღმოჩნდნენ: ზოგი ჩიქოვანია, ზოგი დოდოლიძე, ფარტარიძე, კანიძე, მანელიძე, კეზირიძე, ბაზუღაძე, ნარაკია და მრ. სხ. საქმე ის არის, რომ ყურანის ცრუ-მქადაგებლებმაც ვეღარა გააწყეს-რა. ლაზმა იწამა, რომ ქართულის წინანდელის გვარით და სხვა სახელმწიფოს ხელში ცხოვრებით ყურანს არა ჰღალატობს. ესეც დიდი ნაბიჯია ლაზისათვის და სიკვდილი მოლა გაიძვერებისათვის.

გუშინ ლიმანში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთი ლაზის შვილი ზღვის კიდეზედ თხების გამორეკვის დროს, რადგანაც ნიადაგი მოლიპული იყო წვიმისაგან, გადავარდა და თითქმის ასის მხრის სიმაღლიდგან ზღვის პირამდის იგორავა. ძირამდის სული არ დაჰყოლია. საბრალო დედ-მამა მდუღარებას აზნევენ ამგვარად შვილის დაკარგვისათვის. ეს პირველი შემთხვევაა, რაც აქა ვარ, რომ პატარა ლაზი, თხასავით მოსიარულე ფრიალო კლდეებზედ, გადავარდნილიყოს ღრანტეში.

დროებით ლიმანელი.

## რუსეთი

—

როგორც უწმიდესის სინოდის ცნობებიდგან სჩანს, ამ ხანად რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას 50-მდე სახელოსნო სასწავლებელია დაარსებული ეკლესიის მსახურთა შვილებისათვის. ამ სასწავლებლებში ასწავლიან: ყდის კეთებას, მეჩექმეობას, თერძობას და დურგლობას.

—

მთავრობას განუზრახავს სახელმწიფო ბანკის წესდების შეცვლა. ეს წესდება ისე უნდა გადაკეთდეს, რომ იქ ფულის სესხება ადგილ მამულის გამოსასყიდად გლეხ-კაცობას გაუადვილდესო.

—

პალესტინის საიმპერატორო მართლმადიდებელი საზოგადოება იერუსალიმსა და ათონში სალოცავად მიმავალთა „წიგნაკებს" აძლევს, რომ მლოცველებს დაუბრკოლებლივ შეეძლოს მოგზაურობა. ამ ჟამად ასეთს წიგნაკებს აღარავის ურიგებს თურმე ხსენებული საზოგადოება იმ აზრით, რომ მლოცველებმა შავი-ჭირი არ შემოიტანონ რუსეთში.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** კრიტის არეულობამ მთელი ევროპა არივდარია; ყველა დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო. რაღა თქმა უნდა, არც კრიტელებს და არც საბერძნეთს არავინ დასდევს; ბერძნებს რაც მოუვა, ეს ევროპას დიდად არ აწუხებს. ევროპის ყველა დიდი სახელმწიფო მხოლოდ იმის დარდშია, რომ იმათ ინტერესს არა ევნოს-რა. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთ ათასი სხვა საქმე აქვთ და ზოგიერთი იმათგანი შეიძლება არც იმდენად იყოს მომზადებული, რომ ყველგან გაუძლვეს თავისს საქმეს. კაცი რომ თავისს საქმეს რიგიანად და დროზედ ვერ მოაწყობს, სხვას დასდებს ბრალს, რომ ეს სულ იმის ბრალიაო. სწორედ ასე მოსდის ახლაც ევროპის ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს. კრიტის არეულობაც და ამ არეულობაში საბერძნეთის ჩარევაც სულ ინგლისის ბრალიაო, ამტკიცებს ბევრი; ამ საქმეში საბერძნეთია დამნაშავეო, დაჟინებით ამბობს გერმანიის ზოგიერთი გაზეთი და სხ. და სხ.

მაგრამ საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ბევრგან კრიტის საქმეთა შესახებ მთავრობა სულ სხვა აზრისა არის და ხალხი სხვასი. საბერძნეთში, საფრანგეთში და იტალიაში ხალხი არა თუ არ ჰმალავს, არამედ საქვეყნოდ აღიარებს ბერძნების მიმართ თანაგრძნობას. თუმცა ყველა დიდ სახელმწიფოთა მთავრობა საბერძნეთსა და კრიტს ემუქრება, სტუქსავს და რითი არ აშინებს, მაგრამ ბერძნები მაინც თავისას არ იშლიან და ოსმალეთთან საბრძოლველად ემზადებიან.

„საბერძნეთსაო, უთქვამს საბერძნეთის ერთს დიპლომატს, ოსმალეთთან ბრძოლისა სრულიადაც არ ეშინიანო. ოსმალეთის ფლოტი, რომელიც სულ ძველის გემებისაგან შესდგება და რომლის ჯარი ყოველსავე ნიჭს მოკლებულია, ჩვენ ვერ გაგვიმაგრდება ზღვაშიო. ჩვენ დარდანელამდის დავიჭერთ ზღვას და სირიიდგან სმირნაში მიმავალ ოსმალოს ჯარს გზას შევუკრავთო. აზიაში მყოფს ოსმალოს ჯარს მაშინ მხოლოდ ერთი გზა ექმნება—ბოსფორზედ უნდა გამოიაროს, მაგრამ ეს დიდს დროს მოითხოვსო. ამ ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ოსმალეთს ევროპაში ჰყავს, საბერძნეთი უფრო ძლიერ ჯარს გამოიყვანსო. ისიც უნდა იცოდეთ, რომ თვით ოსმალეთში მრავალი ბერძენი სცხოვრობს, რომელიც, თუ ომი ასტყდა, მხარს მოგვცემსო; მარტო კონსტანტინეპოლში 300,000 ბერძენი სცხოვრობსო. ეპირში, ალბანიასა და მაკედონიაში ასაჯანყებლად ემზადებიან; სომხეთში მოძრაობა გაძლიერდა და ლიბანელ დრუზებს 8,000 კაცი ჰყავთ მზად, რომლებიც ყოველ წუთს საბრძოლველად მზად არიანო. აი ასეთს მდგომარეობაშია ოსმალეთი და ჩვენთან ომი ძალიან გაუძნელდებაო.

—

**კრიტი.** როგორც გაზეთი „Voss. Ztg."-ი ამბობს, საბერძნეთის ელჩმა რომში მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ ათასი კაცი ქვეითის ჯარისა ზარბაზნებითა და საჭირო სურსათით პირეიდგან კრიტისაკენ გაემართაო. სარდალმა ტიმოლეონ ბაზოსმა ბრძანება მიიღო, რომ კორეს ნაპირზედ გასვლისთანავე პროკლამაციები გამოაქვეყნე, კრიტი საბერძნეთთან შეერთებულად გამოაცხადე და იქ საბერძნეთის სამმართველო წეს-წყობილება და კანონი დაადგინეო.

ათინის მთავრობა ამაგრებს ოსმალეთის საზღვრებს და დიდს სამზადისშია. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალეთი თითონაც არ მოინდომებს ომის დაწყებას, რადგანაც კარგად იცის, რომ ევროპის სახელმწიფოები ჩაერევიან საქმეში, რაც ერთობ მავნებელი იქნება ოსმალეთისათვის. საბერძნეთის ელჩმა მადლობა გამოუცხადა იტალიის მთავრობას საბერძნეთისადმი თანაგრძნობის გამოცხადებისათვის. იტალიის დეპუტატებმა: ბოვიომ, იბრიანმა, პაუზინმა და გაეტანმა დეპეშით სთხოვეს რუდონს, რომ საბერძნეთის მოქმედებას ხელს ნუ შეუშლითო. იბრიანი ათასის კაცით გაემართება კრიტისაკენ.

— იტალიის ჟურნალ-გაზეთები დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან საბერძნეთს. იტალიის დემოკრატიული და რადიკალური გაზეთები რისხვითა და მუქარით იხსენიებენ ოსმალეთს. რკისპის მომხრეთა ორგანი „Roma" ამბობს, რომ იტალიისათვის ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს დაეხმაროს იმ ხალხს, რომელიც თავგამოდებით იბრძვის თავის უფლებისა და დამოუკიდებლობისათვისო და თუ იტალია არ დაეხმარება, იმ შემთხვევაში იმის მეტი არა დარჩენია-რა, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთაგან თავისი თავი გამორიცხულად აღიაროსო. გაზეთი „Tribuna"-ც თავისის მხრით იმ აზრს ადგია, რომ საქმე შეიძლება მშვიდობიანად გათავდეს, თუ ევროპის სახელმწიფოები მხნედ მოინდომებენ საფრანგეთის ინტერესების დაცვასაო. ამავე გაზეთმა გამოაქვეყნა საბერძნეთის ელჩის აზრი, რომ საბერძნეთი მხოლოდ თავისის სურვილითა და ნებით, ევროპის სხვა სახელმწიფოთა წაუქეზებლად ჰმოქმედებს ასე და სრულიად დარწმუნებულიც არის, რომ ევროპის სახელმწიფოები მას ხელს არ შეუშლიან, რადგანაც საბერძნეთის ერთად-ერთი სურვილი მხოლოდ კრიტში მშვიდობიანობის დამყარებაა. საბერძნეთი ყოველ შემთხვევაში მზად არის მტერს პასუხი გასცეს, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ოსმალეთი თითონაც არ მოისურვებს ომის დაწყებას, რადგანაც ასეთი მოქმედება თვით ოსმალეთს უფრო მეტს ზიანს მისცემს, ვიდრე ევროპის სხვა ამა თუ იმ სახელმწიფოსაო. ელჩმა გულ-წრფელად აღიარა, რომ საბერძნეთის გემმა „გიდრამ" ძალით არ შეუშვა კრიტში საბერძნეთის მხედრობაო.

საბერძნეთის მემკვიდრე გიორგი მხოლოდ მაშინ წავიდა მილოსს, როცა ევროპის სახელმწიფოებმა პირობა მისცეს, რომ ოსმალთა ჯარებს კრიტში შემოსვლის ნებას არ მივსცემთო.

—

**ინდოეთი.** ინდოეთში დღით-დღე უფრო და უფრო მეტად მძვინვარებს სიმშილი. როგორც გაზეთი „Times"-ი სწერს, დამშეულთა რიცხვი, რომელსაც არავითარი ცხოვრების სახსარი არ მოეპოვებათ და მხოლოდ საქველმოქმედო საზოგადოებათა მეოხებით ირჩენენ თავს, 2.750,000 აღემატებაო. უმეტესი ამათგანი ისე მიხრწნილია სიმშილისაგან, რომ არა თუ მუშაობას ვერ შესძლებენ, ფეხები ძლივს დააქვთო.

### ჩვენ მეურნეთა საყურადღებოდ

(წერილი სამეგრელოდგან)

ყველას მოეხსენება, რომ დღეს მთავრობაც და კერძო დაწესებულებაც იმისს ცდასა და ზრუნვაში არის, ჩვენის ხალხის ეკონომიური მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესონ და წინ წასწიონ. ასეთმა მთავრობის თუ კერძო დაწესებულების შრომამ ზოგან თვალ-საჩინო ალაგი დაიჭირა და სასარგებლო ნაყოფიც გამოიღო. ამისდა მიუხედავად, ვისაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში თვალ-ყური უდევნებია, იგი უთუოდ შენიშნავდა, რომ დღეს ჩვენი სამეგრელო ერთობ ჩამორჩენილია ამ გვარს დაწესებულებას და მეურნეობაც დღითი დღე უკან მიდის... რა თქმა უნდა, ამისი უმთავრესი მიზეზი ისევ ჩვენ, მეგრელები, ვართ. თორემ არც გაიძვერა ახალ სენაკელ ჩარჩ-ბერძნების სათლელი დუმა ვიქნებოდით. ნუ თუ ჩვენში არ შეიძლებოდა ამხანაგობის ანუ „შუამავალის" დაარსება, როგორც გურიაში და სხვაგან არის?.. მაგალითად ავიღოთ სამეგრელოში აბრეშუმი. აბრეშუმის მოვლა-მოყვანას ამ ბოლოს დროს დიდი და განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს ჩვენმა მეაბრეშუმე ქალებმა. ასე წარმოიდგინეთ, ქალებს კაცებიც მხარს აძლევენ და ესენიც ეტანებიან იმისს მოვლა-მოშენებას, მაგრამ ბალა ის არის, რომ ხშირად ამათი ორმოცის დღის შრომა და ტანჯვა ჩაილულის წყალს მიაქვს, რადგანაც აბრეშუმის თესლი საღი არ გამოდგება ხოლმე. ზოგან ისევ ჩვენებურ ძველებურ აბრეშუმის ჭიის მოყვანას მისდევენ. ზოგან-კი ბერძნებმა დაარიგეს, ვითომ ამერიკული კარგის ჯიშის თესლიაო, მაგრამ ამათ დარიგებულს თესლს ის შედეგი მოჰყვა, რაც ზემოდა ვსთქვით. ამიტომ დიდს მადლს იზამს ის, ვინც სამეგრელოს ეკონომიურად წარმატების საქმეს მიაქცევს ყურადღებას და გაავრცელებს აქეთ კარგის ჯიშის აბრეშუმის თესლსა. თითონაც ხეირსა ჰნახავს და ხალხშიაც დიდს სიყვარულსა და ნდობას დაიმსახურებს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მეაბრეშუმენი მიაქცევენ ამ საქმეს თავისს ყურადღებას და სამეგრელოში გაავრცელებენ საღს აბრეშუმის თესლსა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

### ნაწყვეტი

—

რად მინდა ქალი ლამაზი:
ბოროტი, ავი ზნიანი,
უქმი, ურცხვი და კაპასი,
მყეფარი, ომახიანი;
მე გული მიყვარს ქალისა,
გული სათნო და ჭკვიანი,
გული გულისთვის მტირალი,
შარბათი, ალერსიანი.

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

—

ვისაც მართლა, ღრმად და საბოლოოდ გადასწყვეტია იმედი, იგი უკვე მკვდარია ცხოვრება-სიცოცხლისათვის.

უცნობი

***

იგი, ვინც კეთილ-მყოფელია, ბრძენია, ბრძენი კაცი ხომ ყოველთვის კეთილია და კეთილი კიდევ თავისის მხრით აბედნიერებს ადამიანსა.

მარკ-ავრელი

***

საჭიროა გულისა და სულის სიწმინდეზე ვიზრუნოთ და მაშინ აზრნი ჩვენნიც უბიწონი იქმნებიან.

ლებბოკი

### ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ჩვენ გუშინ მოვახსენეთ მკითხველს, რომ იყო ერთი სენ-ბერნარის ძაღლი, სახელად ბარრი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დაალამა ადამიანის სამსახურში და ორმოცზე მეტი კაცი გადაურჩენია სიკვდილისაგან ალპიის მთებში. აი ამ ძაღლს რა თბილის სიტყვით იხსენიებს მეცნიერი შეიტლინი:

„ყველაზე უკეთესი ძაღლი იმათ შორის რაც ჩვენ ვიცით, ის-კი არ არის, რომელმაც აკროპოლის ის გუშაგნი გაალვიძა, არც „ბეცერილლო", რომელმაც ნაჭერ-ნაჭერ დაფლითა ასზე მეტი ტან-შიშველი ამერიკელი, არც „დრაკონი" დრეიდენისა, რომელიც, ანიშნა პატრონმა თუ არა, მაშინვე ეცა ოთხს ავაზაკს და ზოგიერთი დაარჩო და თავისი პატრონი გადაარჩინა, არც ის, რომელიც მივარდა თავისს პატრონს მეწისქვილეს და შეატყობინა, რომ ბალღი წყალში ჩავარდნოდა, არც ის ძაღლი, რომელიც ვარშავაში გადავარდა ხიდიდამ და პატარა ბალღი—ქალი წყლიდამ გამოიყვანა და მოარჩინა დახრჩობას, არც ის ძაღლი ობრისა, რომელიც არა ერთხელ მივარდნია თავისის პატრონის მკვლელს და ერთხელ თვით ხელმწიფის წინაშე იგი მკვლელი კინაღამ არ დაფლითა, არც ძაღლი ბენვენუტო-ჩელინისა, რომელიც აღვიძებდა ქარგლებს, როცა ქურდები შედიოდნენ ოქრო-ვერცხლის საპარავად. არა, ბარრივ, შენ სულ ძხვა ძაღლი იყავ, შენზე უკეთესი სხვა პირუტყვი არა ყოფილა ქვეყანაზე. შენ დიდი და ჭკუიანი ძაღლი იყავ. შენ სიკვდილისაგან დაგიხსნია ორმოცზე მეტი ადამიანი. ყელზე ჩამოკიდებულ კალათით, ბოთლ ღვინით შენ ყოველ დღე გამოდიოდი მონასტრიდამ ქარ-ბუქში, ნანქერში და ვაი-ვაგლახში, ეძებდი თოვლსა და ზვავ-ქვეშ მოყოლილს ადამიანს, ჰპოებდი თუ არა, თუ სხვა არა გეხერხებოდა რა, მირბოდი მონასტერში და იწვევდი ბერებს საშველად. შენ როგორც გულ-მტკივნეულს და გულ-ნაზ ადამიანს უნდა გცოდნოდა როგორ მოექცე, როგორ შეიტკბო, თორემ პაწია ბალღი თოვლ-ქვეშეთიდამ შენგან ამოღებული, როგორ გაბედავდა ზურგზე ამოგცოცებოდა, ზედ შეგმჯდარიყო და ისე წაგელო მონასტერში. როცა შენ ზურგზე ბაშვით მიხვედი სტუმართ-მოყვარე მონასტრის ჭიის-კართან, შენ წაავლე თათი ძირდაკიდულ თოკს ზარისას და ზარი დარეკე, რომ მალე გადასცე კეთილ-მყოფელს ბერებს შენ მიერ თოვლში ნაპოვნი ბალღი. ჩაიბარეს თუ არა ბერებმა შენი ძვირფასი ტვირთი, შენ ერთ წუთსაც აღარ დაყოვნებულხარ, დაღლილი და დაქანცული გაბრუნებულხარ, რომ ხელახლად შესდგომოდი ძებნას უბედურის კაცისას. რამდენსაც იმარჯვებდი, მით უფრო გამოცდილება გემატებოდა, მით უფრო ღონე გეძლეოდა, და შენ უფრო გიხაროდა, უფრო გიკეთდებოდა უიმისოდაც შენი კეთილი გული. საკვირველია! შენგან ხსნილთა და გადარჩენილთა როგორ აგებინებდი შენსას! როგორ უკეთებდი და უმაგრებდი მილეულს გულს, როგორ ანუგეშებდი! მე ენას მოგცემდი, რომ ადამიანს ესწავლა შენგან ყოველივე ეს! განა ბძანება ვისიმე გინდოდა, ვისიმე ძალ-დატანება? შენ თვითონ იცოდი შენი უუწმინდაესი მოვალეობა, როგორც კეთილმა და პატიოსანმა ადამიანმა. რაკი თვალს მოჰკრავდი, რომ შორს სადმე ჯანღი, ნისლი გამოჩნდა, ან ქარ-ბუქი ადგა, მაშინვე გარბოდი მონასტრიდამ.

„მთელი თორმეტი წელიწადი ირჯებოდი დაუღალავად. არავისგან არ თხოულობდი არც ქებას, არც მადლობას. მე შემხვდა ბედნიერება და შენ გნახე ერთხელ სენ-ბერნარდზე. თქმა-ღა უნდა, რომ მე შენს წინაშე ქუდი მოვიხადე და თავი მოვიხარე. შენ ამ დროს ეთამაშებოდი შენს ამხანაგს, როგორც ეთამაშებიან ხოლმე ერთმანეთს ვეფხვები. მე მინდოდა შენთან ახლო მოვსულიყავ, მაგრამ ღრენა დამიწყე უცნობ კაცს. მე მაშინ უკვე ვიცოდი შენი სახელი, შენი გათქმული ამბები. მე რომ განსაცდელში გენახე, რა თქმა უნდა ღრენას არ დამიწყებდი. ეხლა შენ აღარ ხარ და შენი ტყავი ინახება ბერნის მუზეაში. ქალაქმა კარგი ჰქმნა, რომ როცა დაბერდი, დაუძლურდი და აღარ შეგეძლო ადამიანის სამსახური, ქალაქმა გიპატრონა, დაგაბინავა, გასვა-

გაჰამა, გინახა, ვიდრე მოკვდებოდი. ვინც ეხლა მუზეუმში ჰნახავს შენს ტყავშივე გაკეთებულს შენს სახეს, უნდა ქუდი მოიხადოს, იყიდოს შენი სურათი და დაიკიდოს კედელზე თავისს ოთახში. დეე, აჩვენებდეს იგი თავისს შვილებს და თავისს მოწაფეებს სურათს, როცა შენ ბაშვით ზურგზე სდგეხარ მონასტრის ჭიის-კარებთან და ჰრეკავ ზარს, და ეუბნებოდეს: „ჰქმენით თქვენც იგივე, რასაც იქმოდა ეს ძაღლი“.

(დრუჟ. წიგნიდამ).

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო.

მხოლოდ დღეს წავიკითხე პატივცემულის ეკ. გაბაშვილის წერილი ამ წლის „ივერიის“ მე-13 №-ში იმ 50 მანეთის შესახებ, რომელიც შეუგროვებია ტფილისელ ქალთა შორის განსვენებულ ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ და წარმოუგზავნია ჩემდა გადმოსაცემათ ბ-ნ ვალ. გუნიას საშუალებით.

ეს გარემოება უკვე მოხსენებული იყო ჩემ მიერ 1896 წ. „ივერიის“ მე-85 №-ში და დაბეჭდილი იყო იქვე სია სხვათაცა, რომელთაც ინებეს და ამ 50 მანეთს დაუმატეს 39 მ. და 80 კ.

ეს ფული (89—80 კ.) მე შევიტანე ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში 17 აპრილს თ-დ ს. წერეთლის სახელობაზედ, რადგან იგი ითვლება ფულის მომგროვებელ კამისიის თავმჯდომარედ. სამწუხაროდ, მას შემდეგ ამ ფულს არაფერი მოჰმატებია, და ვეჭვობ, რომ რამე ღირსმოსახსენებელი მოემატოს, რადგან ჩვენ, ქართველობა, როგორც მალე ავპილპილდებით, ისე მალე ჩავქრებით ხოლმე. რაც შეეხება ამ ფულებს, იგი სხვა ფულთან ერთად, რომელიც გროვდება სხვა წევრებისაგანაც, ჩემის აზრით, ამ მოკლე ხანში წარმოიგზავნება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“.

კამისის ერთი წევრთაგანი კ. ბაქრაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 თებერვალი

**ვენეცია.** საერთაშორისო შავი ჭირის წინააღმდეგ დაარსებულმა კომისიამ საზოგადო სხდომაზედ მოისმინა ინგლისის წარმომადგენელთა მოხსენება. ინგლისის მთავრობამ დაადგინა, რომ მიმდინარე წელს სრულიად აღეკრძალოს მლოცველებს ინდოეთიდგან მექაში წასვლაო. წარმომადგენლებმა განმარტეს აგრეთვე მთავრობის მოხსენებანი. კონფერენციამ მოიწონა ინგლისის მთავრობის გარდაწყვეტილება და გამოაცხადა სურვილი, რომ სახელმწიფოებმა, რომელშიაც მაჰმადიანები სცხოვრებენ, მიიღონ ზომები რათა მლოცველებს აღეკრძალოს წმიდა ადგილებში მოგზაურობაო.

**კონსტანტინეპოლი.** ფოტიადესბეი, დანიშნულებისამებრ, მიდის კანეიაში.

**კონსტანტინეპოლი.** ილდიზკიოსკსა და პორტაში საშინელი უკმაყოფილება და მითქმა მოთქმა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ საბერძნეთმა კანეიის მთავარ-კონსული კრიტის მთავარ-კომისარად დანიშნა, დახურა დანაშთენი საკონსულოები და უსიამოვნო მოქმედებას განაგრძობსო. კრიტიდგან მოსული ცნობებიდგან ცხადადა სჩანს თუ რა ცუდ მდგომარეობაში არიან იქაური მაჰმადიანები, რომელნიც თავის თავს პატრონის მიერ უპატრონოთა და უმწეოდ დატოვებულად სთვლიან. ზოგიერთ ადგილებში რამდენჯერმე სცადეს განთავისუფლებიათ ქრისტიანთაგან ალყა შემორტყმული ოსმალეთის ჯარი და საჭირო სურსათი მიეცათ მათთვის. კანეიდგან ამბობენ მოდის, რომ ქრისტიანები და მაჰმადიანები შეუბრალებლადა ჟლეტამენ ერთმანეთსო; მაგრამ, რადგანაც ქრისტიანები რიცხვით მეტნი არიან, მაჰმადიანები დიდ განსაცდელში არიანო.

**კანეია.** ევროპიელთა გემებიდგან მხოლოდ მაშინ ასტეხეს სროლა, როცა აკროტირელნი მეამბოხენი ჰალეპპოში თავს დაესხნენ ოსმალთა ჯარებს. სროლამ 25 წამი გასტანა. მეამბოხენი უკუ იქცნენ.

**კანეია.** ინგლისის, რუსეთისა და იტალიის კონსულებმა წინადადება მისცენ მებრძოლთ სელინოში შვიდის დღის ვადით მორიგდითო. ორივე მხარე დასთანხმდა ამ წინადადებაზედ.

12 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა მთავრობის მოხსენება რუსეთისა და იაპონიის შეთანხმების შესახებ, რომელიც მოსკოვსა და სეულში მოხდა, რადგანაც რუსეთის მთავრობას ამით სურდა ბოლო მოეღო იმ უკმაყოფილებისათვის, რომელიც რუსეთსა და იაპონიას შორის ჩამოვარდა კორეს საქმეთა გამო.

**ხარკოვი.** 11 თებერვალს დაატყვევეს ერთი იმ ავაზაკთაგანი, რომელმაც ხახლოვის შვილები დახოცა. ეს დამნაშავე ციმბირიდგან გამოქცეული გამოდგა. ორი სხვა ბოროტ მოქმედი ქ. ორიოლში გაიქცა. იმათ დასაჭერად ზომებია მიღებული.

**პარიზი.** გაზეთებს ძლიან მოსწონთ ჰანოტოს ცხადი, გარკვეული განცხადება და ის საშუალებანი, რომელიც მან დაასახელა საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის უკმაყოფილების მოსასპობლად; გაზეთებს სრული იმედი აქვთ, რომ „ევროპის კონცერტი“ თავისს სურვილს აასრულებინებს ოსმალეთსაო.

**ვენეცია.** შავის ჭირის საწინააღმდეგო კონფერენცია. კომისიამ განიხილა რა ევროპის გარეშე ქვეყნებში შავის ჭირის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი, შეუდგა იმ საშუალებათა გამორკვევას, რომელიც წითელ ზღვაზედ უნდა იქმნეს მიღებული. კომისიამ, ევროპაში შავის ჭირის წინააღმდეგ მიღებულ ზომების განხილვისა და, დრეზდენის კონვენციის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ რამდენიმე მუხლი შეიცვალოსო, უმეტეს ნაწილად ის მუხლები რომელიც შავის ჭირის შემოტანის საწინააღმდეგო ზომებს შეეხებაო.

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან იმ მისსიის შესახებ, რომელიც ქაირში ინგლისის სადიპლომატიო წარმომადგენლობის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლის, რენნელ როდსის მეთაურობით უნდა გაეგზავნოს მენელიკს. მისსიას შეადგენს რამდენიმე ოფიცერი და პოლკოვნიკი უინგეიტი. როდსს თან ახლდება მარკიზ სალისბერის შვილი ლორდი სესილი. როდსი მიათმევს მენელიკს თვით დედოფალი ვიქტორიას მიერ დაწერილს წერილს.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ შეატყობინა ელჩებს, რომ დაბა ვუკოლისთან კრიტის მეამბოხეთ ოსმალთა ჯარის ორი რაზმი გასწყვიტესო. გადარჩა მხოლოდ ერთი აფიცერი და 60 ჯარის კაციო. აგრეთვე მეამბოხენი გარს შემოერტყმნენ ოსმალთ, რომელთა შორის დედაკაცები და ბავშვებიც არიანო. ზღვის აფიცრის ცდამ, რომ ოსმალებს თავისუფლად შეეძლებოდათ უკან დახევა, ამაოდ ჩაიარა.

**კალკუტა.** რევახში საზოგადო ამუშაოებზედ, რომელსაც აზრად ჰქონდა დამშეული ხალხის დახმარება, ხოლერა გაჩნდა. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო, რომ ეს სენი სხვა პროვინციებში არ გავრცელდესო.

**ბომბეი.** ამ უკანასკნელ ექვს დღეში დახოცილთა რიცხვიდგან ცხადათა სჩანს, რომ წარსულ კვირასთან შედარებით ეს სენი უფრო შესუსტებულა. ეს ფაქტი ერთობ სასიამოვნოა.

პეტერბურგის ბირჟა 11 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | —“ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — | — „ | 209 1/2 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | | — „ | 101 3/4 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 1/4 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 1/8 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | | — „ | 99 3/8 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98 3/4 | — „ | — |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 277 1/2 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 258 |

## გამოსადეგი ცნობანი

სავაჭრო ამბები

გაზ. „კავკაზ.“ მე-36 №-ში დაბეჭდილია შემდეგი სახაზინო კომმერციული განცხადებანი:

ქუთ. გუბ. მმართველობა აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში 4 ს მარტს იჯარით გაიცემა ორი სამუშაო: ერთი 5,832 მან. 81 კაპ. და მეორე 4,268 მ. 96 კაპ.

ბაქოს ოლქის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 15 მაისს ქ. ბაქოში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით სკვორცოვის მამული, რომელიც 20,000 მან. არის დაფასებული.


**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამომრჩეველთა ნუსხანი ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად, რომელიც დანიშნულია 1897 წლის 18 მაისისათვის, უკვე შედგენილია და ქალაქის გამგეობა შეუდგა შესავსებელ ამომრჩეველთა ნუსხას შედგენას. ამ ნუსხაში მხოლოდ ქ. ტფილისის ის მამულის პატრონნი იქმნებიან ჩარიცხულნი, რომელნიც 1896 წლის პირველ ექვსის თვის დასაფასებელს გადასახადს ამა წლის 5 მარტამდის შემოიტანენ.

(3—6.—2)

**1897.** ГОДЪ СЕДМОЙ. **1897.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

**„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“**

Въ 1897 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ издаваться въ своемъ обичномъобъемѣ. Въсоставъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и расказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анекдоты —Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

Съ января 1897 года въ приложеніи будетъ печататься историко-литературная монографія

ГЕОРГА БРАНДЕСА

**ВИЛЛІАМЪ ШЕКСПИРЪ**

Исторія его жизни и дѣятельности по его твореніямъ и на оснаваніи критическаго изслѣдованія наилучшихъ источниковъ Шекспирской литературы. *Въ трехъ частяхъ своего труда Георгъ Брандесъ прослѣживаетъ жизнь и творчество Шекспира въ условіяхъ его времени изъ года въ годъ, отъ сочиненія къ сочиненію, и возсоздаетъ яркій образъ этого величайшаго изъ геніевъ всемірной литературы.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1897 ГОДЪ ПРЕЖНЯЯ:**

съ доставкою и пересылкою **4 р** | безъ доставки и пересылки **3 р. 50 к.**

**подписка на 1896 годъ продолжается по той же цѣнѣ.**

**подписка принимается:** въ С.-Петербургѣ — въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, №63, магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ — въ Конторѣ Н. Н ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ Ө. И. Булгаковъ    Издатель Г. Ө. Пантелеевъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы“ за 1891, 1892, 1894, и 1895 гг. продается по 4 р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаровъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

**ТАМЪ ЖЕ ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА**

НА 144 ТОМА СОЧИНЕНІЙ СЛѢДУЮЩИХЪ ПИСАТЕЛЕЙ:

Э. Зола, Бальзака, Флобера, Ж. Занда, Диккенса, Вальтеръ Скотта, Брет-Гарта, М. твэна, Этгара Поэ, Шпильгагена, Гофмана и Эберса.

**ВСѢ 144 ТОМА** будутъ изданы въ теченіе трехъ лѣтъ, по 48 том. въ годъ, т. е. по 4 тома ежемѣсячно, по 320 стран. въ каждомъ томѣ въ 8 д. листа, четкимъ шрифтомъ. Форматъ и шрифтъ – собранія сочиненій Гюи де Мопасана.

*По 15 Ноября 1896 г. вышло 48 томовъ*

**ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:**

**ЗА ВСѢ 144 ТОМА** безъ доставки **36 Р.**, съ доставкою въ Петербургѣ и съ пересылк. въ друг. города **48 Р.**

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

**Подписчикамъ безъ доставки:** при подпискѣ вносится 15 руб., къ 15 декабря 1896 г. 3 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится 3 р.

**Подписчикамъ съ доставкой и пересылкой:** при подпискѣ вносится 20 руб., къ 15 декабря 1896 г. 4 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится по 4 р.

*По этой цѣнѣ подписка принимается только* **на 5000 экземпляровъ,** *а затѣмъ ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПОВЫСИТСЯ. о чемъ будетъ объявлено своевременно.*

*ТАМЪ ЖЕ можно получить СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ:*

ГЮИ ДЕ МОПАСАНА. 2-е изданіе. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

АЛ. ДОДЕ. 12 томовъ Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

В. ТЕККЕРЕЯ. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

ИЗЯЩНЫЕ КОЛЕНКОРОВЫЕ ПЕРЕПЛЕТЫ:

Цѣна 6 переплотовъ на 12 томовъ А. Додэ 1 р. 80 к., на 12 том. В. Теккерея 1 р. 80 к. и на 12 том. Гюи до Мопосана 1 р. 80 к. Перес. 6 перепл. за 3 ф,, по разстояніямъ. **АДРЕСОВАТЬСЯ:** въ редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, Спб., Верейская, 16 или въ контору, Гостиный дворъ, магазинъ П. Ө, Пантелеева, № 63.

(12—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Февраля 1897 г.    სტამბა გ. მარტიროსიანცისა და ამხანაგობისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.